



# შირაკი

## SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან  
დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№3 (9.962)

13-20 თებერვალი, 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირული გამოცემა

## კანდიდია, განათლება და ორჯერ ძვირი საბავშვო პირბადე

ქათის შვილი მთელი კლასშია. მიუხედავად იმისა, რომ განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებმა სკოლებში მოსწავლეებისთვის პირბადის ტარების ვალდებულება მეშუაეტი კლასიდან დაანახსნა, ქათი ამოგზავნა, რომ შვილს სკოლაში პირბადით გაუშვას.

ქათი 7 წლის შვილს, უკვე დიდი ხანია ნიღბის სწორად მოხმარების წესები ასწავლა და ფიქრობს, რომ ბავშვს სკოლაში პირბადით სიარული არ უნდა გაუჭირდეს.

„სწორი ინსტრუქციის შემდეგ მშვენივრად ახერხებს პირბადის სწორად მოხმარებას. ვაპირებ, რომ პირბადე გაუკეთო კიდევ და გავატანო. თუმცა, რაკი დაწყებითში არაა სავალდებულო პირბადის ტარება, არ ვიცი, რამდენად გაიკეთებს, თუკი დაინახავს, რომ სხვებს არ უკეთიათ. გარდა ამისა, არც არავინ გაუკონტროლებს პირბადის გამოცვლის ვადებს. ჩემი აზრით, პირველი კლასიდანვე სავალდებულო უნდა იყოს ნიღბის ტარება და სხვა ქვეყნების მსგავსი პროტოკოლით იმართებოდეს ეს პროცესი. სკოლის ადმინისტრაცია მშობლებს აწვდის ინფორმაციას, რამდენი და როგორი პირბადე გაატანოს ყოველდღიურად. სკოლაში აკონტროლებენ განსაზღვრული პერიოდული პირბადის გამოცვლას და მოხმარებული პირბადის უსაფრთხოდ გადაგდებას და ა.შ.“

განათლების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული რეგულაციების თანახმად, რომელიც სკოლებში პირბადის მოხმარების წესს შეეხება, მხოლოდ ორი რეკომენდაციაა ხაზგასმული. ერთი მოსწავლეებისთვის და მეორე მასწავლებლებისთვის:

•სკოლის საერთო სივრცეებში მესუთე-მეთორმეტე კლასის მოსწავლეები უნდა გადაადგილდნენ მხოლოდ პირბადით;

•სკოლის საერთო სივრცეებში მასწავლებელი უნდა გადაადგილდეს მხოლოდ პირბადით.

მოსწავლეების მშობლები ამბობენ, რომ ოჯახში სკოლის ადმინისტრაციისგან მიიღო შეტყობინება ბავშვების სკოლაში ნიღბით გამოცხადების თაობაზე. შეტყობინებაში მითითებული იყო ისიც, რომ ბავშვები ნიღბებით ოჯახში უნდა უზრუნველყოს. სხვა ინფორმაცია თუ რეკომენდაცია პირბადეების მოხმარების წესებისა თუ რაოდენობის თაობაზე, მეთერთმეტეკლასელი თეას ოჯახს არ მიუღია.

სოფოს მესუთე და მერვე კლასელი შვილები ჰყავს. მისი თქმით, ერთი წელია ბავშვები ყველგან ნიღბით დადიან, შესაბამისად, არც სკოლაში გაუჭირდებათ პირბადით სიარული:

„ვემხრობი პირბადეს, რადგან სხვა გზა არაა. უკვე ჩვევაში აქვთ ბავშვებს, შეიძლება მე უფრო დამავიწყდეს სახლიდან გასვლის წინ პირბადის გაკეთება, ვიდრე მათ. რომ ვუთხარი, სკოლაშიც უნდა გეკეთოთ-მეთქი, ძალიან მშვიდად მიიღეს, მგონი სხვანაირად არც მოელოდნენ“.

სკოლაში პირბადით სიარულის ვალდებულებას არ ემხრობა ერთ-ერთი მშობელი, რომელიც თვლის, რომ დახურულ სივრცეში, დიდი ხნით პირბადით ჯდომა, ბავშვების ჯანმრთელობისათვის საზიანოა:

„ბავშვები ვერ იკავებენ თავს და ხშირად იკიდებენ პირბადეზე ხელს, ხან აინევენ, ხან ჩამოინევენ, რაც ზრდის

ინფიცირების რისკს. გარდა ამისა, სანამ ზამთარია, ალბათ, ფანჯრების გაღება ვერ მოხერხდება რეგულარულად და დახურულ სივრცეში ბავშვისთვის პირბადის ტარება რამდენიმე საათით, ჯანმრთელობისთვის საზიანო მგონია“.

„ბავშვი ამბობს, ვერ ვსუნთქავ პირბადეში, ამიტომ ვერ დავაძალავებ“, - ამბობს მეოთხეკლასელი ბიჭის დედა.

კიდევ ერთი მოსწავლის მშობელი, კატეგორიული წინააღმდეგია, მისმა შვილმა ატაროს პირბადე: „ვეღარ მივაგენი იმ სტატუსს, სადაც აღწერილი იყო ის მავნე ზეგავლენა, რასაც ეს გამოიწვევს როგორც გონებრივ განვითარებაზე, ასევე ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ასე რომ მე წინააღმდეგი ვარ“. „მე ბავშვს არ ვუკეთებ და არც გაუკეთებ ნიღბს. ეს უფრო საღიზიმი მგონია ვიდრე ზრუნვა და მოფრთხილება!“ - გვაპასუხობს ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი.

### ორჯერ ძვირი საბავშვო პირბადე



15 თებერვლიდან, სასწავლო პროცესი მთელ საქართველოში სასკოლო სივრცეში ინაცვლებს. ეს გადანაწევტილება საკოორდინაციო საბჭომ თებერვლის დასაწყისში მიიღო. იმ რეგულაციების ჩამონათვალში, რომელიც სკოლებმა სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ დასაწყებად უნდა შეასრულონ, თავდაპირველად არ იყო რეკომენდაცია მოსწავლეებისათვის სკოლაში პირბადით სიარულის შესახებ. თუმცა, რამდენიმე დღის თავზე, მას შემდეგ, რაც ეპიდემიოლოგებისა და ექიმების ნაწილმა განაცხადა, რომ მოსწავლეების პირბადის გარეშე ყოფნამ, შესაძლოა, სკოლებში ვირუსის ახალი კერები შექმნას, გადანაწევდა, რომ მესუთე კლასის ზემოთ მოსწავლეებისათვის პირბადის ტარება სავალდებულო იქნება. რაც შეეხება დანაწევრებას, აქ უკვე მშობლებს შეუძლია თავად მიიღოს გადაწყვეტილება, გაუკეთოს თუ არა შვილს სკოლაში პირბადე.

როდესაც საქმე ეხება ბავშვებსა და პირბადეებს, ისიც აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ნიღბი, პირველ რიგში, მჭიდროდ უნდა იყოს სახეზე მორგებული და ფარავდეს ცხვირს, პირსა და ნიკაპს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ფაქტორია პირბადის

ზომა.

დღეს, საქართველოს სააფთიაქო ქსელებში საბავშვო პირბადეები ჩვეულებრივ პირბადეებზე ორჯერ ძვირი ღირს. თუკი ერთი ჩვეულებრივი, ე.წ. სამედიცინო ნიღბის შექმნა მომხმარებელს მაქსიმუმ 20 თეთრად შეუძლია, ერთ საბავშვო ნიღბში 40-50 თეთრის გადახდა მოუწევს. სააფთიაქო ქსელის ბარათის ქონის შემთხვევაში კი 38 თეთრის. აღსანიშნავია ისიც, რომ საბავშვო ნიღბებს ყველა სააფთიაქო ქსელში ვერ შეიძენთ.

ერთ-ერთი სააფთიაქო ქსელის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში საბავშვო პირბადეების ღირებულების შესახებ განმარტავენ, რომ პირბადის მაღალი ფასი დამოკიდებულია მომწოდებლის პირობებზე და ამ ეტაპზე, უცნობია, მოხერხდება თუ არა საბავშვო ნიღბებზე ფასის დაწვევა და მისი ღირებულების სულ მცირე ჩვეულებრივი ნიღბის ფასთან გათანაბრება: „თუკი

მონაცემი და ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პირბადის ხანგრძლივი ტარება აზიანებს მოზარდის ჯანმრთელობას, ამ დრომდე, არ გამოქვეყნებულა.

ბიძინა კულუმბაშვილი ერთ-ერთი პირბადი იყო, რომელმაც საჯაროდ განაცხადა, რომ მოსწავლეების უნიღბოდ სიარულს, შესაძლოა, სერიოზული რისკის წინაშე დააყენებინა ძველის აკადემიოლოგიური მდგომარეობა და სკოლაში აკადემიოლოგიის კარგად გალაშქრება. ის უსაფრთხო უწოდებს მშობლების შიშს, რომლებიც თვლიან, რომ პირბადის მოხმარების გამო ბავშვების ჯანმრთელობა სერიოზული საფრთხის წინაშე დგება:

„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ პირბადის სტრუქტურა, რამდენი ფენისგანაც არ უნდა შედგებოდეს ის, არანაირ ზიანს არ აყენებს არც ზრდასრულებისა და არც ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობას. კორონავირუსით გამოწვეული ზიანი გაცილებით მეტია, ვიდრე, ამას მოგვიტანს, მაგალითად, პირბადის ტარება. ერთ-ერთი კერძო სკოლა დამიკავშირდა და მოხოვა, რომ მათი მოსწავლეებისათვის ჩვენგან ვიდრე პირბადის მოხმარების წესებსა და მნიშვნელობაზე. ეს ძალიან კარგი მიდგომაა, როდესაც მეტწილად ცნობილი სახეები მოზარდებს, ბავშვებს, პატარა-პატარა ვიდრეობით ასწავლიან და უხსნიან პირბადის მოხმარების წესებს, უყვებიან მისი მნიშვნელობის შესახებ. საგანმანათლებლო სამუშაოები ძალიან ბევრ რამეს შეცვლის თავად მშობლების შეხედულებებშიც, რაც დღეს უკიდურესად მნიშვნელოვანია“.

ბიძინა კულუმბაშვილი, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას. მას შემდეგ, რაც გავრცელდა ცნობა სკოლებში პირბადის მოხმარების ვალდებულების შესახებ, მას აკითხავენ პაციენტების მშობლები და სთხოვენ ცნობის დაწერას, რომ მათი შვილებისთვის პირბადის ტარება არ არის რეკომენდებული:

„პაციენტებმა, რომელთა დიაგნოზია ბრონქული ასთმა, მოხოვეს, მიეცე ცნობა, რომ პირბადე არ გაიკეთონ, რადგან ეს მათ დისკომფორტს უქმნის. ცნობა მიეცე, მაგრამ ამასთანავე, აუხსენი და რეკომენდაცია ჩაუწერე ცნობაში, რომ თუკი პაციენტს აქვს ასთმა, რომელიც კოვიდით ინფიცირების შემთხვევაში, ერთ-ერთი სერიოზული რისკ-ფაქტორია, მაშინ, მე, როგორც ექიმი, ვითხოვ, რომ ბავშვი დარჩეს ონლაინ-რეჟიმში და არ წავიდეს სკოლის სივრცეში. ან თუკი ბავშვს აქვს ყურადღების დეფიციტი, ჰიპერაქტიუობის სინდრომის მოვლენები, უჭირს პირბადის ტარება, სახლში ჰყავთ რისკ-ფაქტორია შემავალი ოჯახის წევრები, მაშინ, უმჯობესია, ბავშვმა სწავლა ონლაინ-რეჟიმში გააგრძელოს. ეს ყველაფერი ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს და არ შეიძლება, ასე ხელალებითა და უსაფუძვლოდ ვილაპარაკოთ, რომ პირბადე ზოგადად ბავშვების ჯანმრთელობისთვის საზიანოა“.

ეპიდემიოლოგი მანა ბუნაშვილი თვლის, რომ სწორია მოსწავლეების ასაკობრივ კატეგორიებზე დაყოფის გადანაწევტილება, რომლის თანახმადაც, ნიღბების ტარების ვალდებულება მხოლოდ მაღალკლასელებს ექნებათ.

/გაგრძელება გვ.3/

# სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში შესხვედრები დაიწყო

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შესხვედრები დაიწყო.

\*დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევის მიზნით საერთო კრებები დღეს არბოშიკში, მირზაანსა და ზემო მანხანაში ჩატარდა.

\*შესხვედრებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილეებთან, მერის წარმომადგენლებთან და საკრებულოს წევრებთან ერთად დაესწრო.

\*პროგრამის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 256 000 ლარია გამოყოფილი.

\*დასახლების საერთო კრებები და ამომრჩევლებთან კონსულტაციები მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ჩატარდება



# კახეთის გუბერნატორად ირაკლი შიოშვილი დაინიშნა



კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულად ირაკლი შიოშვილი დაინიშნა, რომელიც ბოლო რამდენიმე თვეა გუბერნატორის მოვალეობას ასრულებდა.

ირაკლი შიოშვილი 2016 წლიდან კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე იყო და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ირაკლი ქადაგიშვილის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა თელავის მუნიციპალიტეტში.

2014-2016 წლებში ირაკლი შიოშვილი შპს „მობიტელის“ (ბილანი) კახეთის რეგიონალური ფილიალის დირექტორად მუშაობდა, 2010-2013 წლებში — საქართველო-ბელარუსის სავაჭრო-ეკონომიკური სააგენტოს პროექტის ხელმძღვანელი იყო, ხოლო 2007-2009 წლებში ტელევიზია „გლობალ თV“-ის გენერალური დირექტორის თანამდებობა ეკავა.

კახეთის გუბერნატორის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც ირაკლი ქადაგიშვილმა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, მეორე ტურში გაიმარჯვა და „ქართული ოცნებიდან“ თელავის, ახმეტის, ყვარლისა და ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა. პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარია ამ ხალი გუბერნატორები კახეთის გარდა კიდევ ხუთ რეგიონში დანიშნა.

## მიტოვებული ძალადობის მსხვერპლი

### რატომ მოიკლა თავი 14 წლის გოგონამ?

ვირც პოლიციამ, ვირც ოჯახმა, ვირც სპორტმა, ვირც სოციალურმა სამსახურმა ვირც დაიცვა 14 წლის გოგონა ვირც სავარაუდო სექსუალური ძალადობისგან, შედეგად კი თვითმკვლელობა განვიხილოთ.

10 თებერვალს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში 14 წლის გოგოს გარდაცვალების გამო შს სამინისტრომ საქმე აღძრა თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით. იმავე ღამით, რამდენიმე საათში მას შემდეგ, რაც პოლიციამ ბავშვის გარდაცვალების შესახებ გაიგო, დააკავს 23 წლის კაცი, რომელსაც ბრალი ედება არასრულწლოვან გოგოსთან სექსუალური კავშირში.

გარდაცვლილი გოგოს ბაბუას მონაცემების თანახმად, პოლიციამ მოზარდზე შესაძლო სექსუალური ძალადობის შესახებ, სულ მცირე, ორი თვით ადრე იცოდა. პოლიციისთვის ასევე ცნობილი უნდა ყოფილიყო იმ ადამიანის ვინაობაც, რომელსაც ოჯახის წევრები ძალადობაში ადანაშაულებდნენ და რომელიც პოლიციამ მხოლოდ ბავშვის სავარაუდო თვითმკვლელობის შემდეგ დააკავა.

ბაბუა ყველა რომ ძალადობის შესახებ პოლიციას ოჯახმა დეკემბერში აცნობა, როდესაც შეილიშვილმა უთხრა, რომ იგი ორჯერ გახდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, პირველად ჯერ კიდევ ზაფხულში. მისი მონათხრობიდან ირკვევა ისიც, რომ შესაძლო ძალადობის შესახებ დაწყებული იყო გამოძიება.

„თბილისიდან არ ჩამოვიდა ექსპერტის [სამედიცინო ექსპერტიზის] ცნობა მალე. ერთი ცნობა ჩამოვიდა, მეორე არა. გამოძიებულს დაურეკე, თვითონ ბავშვმა ამიკრიფა ნომერი და გამოძიებულს ველაპარაკე. ვკითხე, ცნობა ჩამოვიდა? არა... გოგომ მითხრა, ბაბუ რა იქნა, ამდენი ხანი მოსკოვიდან ჩამოვიდოდა... ნავედი სამსახურში დილას და საღამოს

აგერ ჩამოვიდული დამხვდა. თავიდან მალავდა, ალბათ ეშუქებოდა, არ თქვა, თორე მოგკლავო. 6 თვის მერე მოაკითხა კიდე და კიდე იძალადა. ამის მერე გაიხსნა საქმე“ - ამბობს მოზარდის ბაბუა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დღეს ამ ამბის დეტალების შესახებ არც კომენტარი გააკეთა და არც განმარტება. ერთადერთი რაც უწყებამ თქვა ისაა, რომ პოლიციამ სავარაუდო მოძალადე დააკავა.

სექსუალური ძალადობის ბრალდებით დაკავებული 23 წლის კაცის მშობლები არ უარყოფენ, მათი შვილისა და მოზარდის გოგოს ნაცნობობას. მამა ყველა იმასაც, რომ „ბავშვის დანიშნასაც“ კი აპირებდნენ, თუმცა ცოლ-ქმარი ამბობს, რომ შვილიშვილზე ბაბუა ძალადობდა.

„ბაბუა სისტემატიურად ძალადობდა ამ გოგოზე, თვრებოდა და ძალადობდა. ეს ყველაფერი გაუმხილა ჩემს შვილს. მეგობრობდნენ ჩემი ბიჭი და ეს გოგო. გაუმხილა და უთხრა, მიშველე, წამიყვანე ჩემს მეგობართანო. ჩემს შვილს თითი არ აქვს ძალადობით დაკარებული“ - ამბობს დაკავებული ბიჭის დედა. მამის მონათხრობი კი მიანიშნებს, რომ ოჯახმა იცოდა, რომ მათ შვილს არასრულწლოვანთან ჰქონდა სექსუალური კავშირი.

„მე როცა გავიგე, რომ არასრულწლოვანი იყო, კი ვიცით საქართველოში როგორცაა და მინდოდა ამ გოგოს პატრონობა. რომ არ გაზვიადებულიყო საქმე. და მერე, როგორც წესი და რიგია, როცა გახდებოდა სრულწლოვანი უნდა დაგვენიშნა და წამოვიყვანდით. მაგრამ სასტიკი უარი თქვეს. დაურეკა ჩემს შვილს მიშველეო. საშველად გავაგზავნე ხალხი და ეს ხალხი სასტიკი უარით დაბრუნდნენ, არ ღირს მათთან გასვლაო. გოგომ ერთხელ დარეკა, მას შემდეგ ტელეფონი მას აღარ ჰქონდა.“

14 წლის მოზარდის მეურვე ბაბუა იყო. გოგოს მამა რამდენიმე წლის წინ

გარდაიცვალა, დედა მალევე თურქეთში გადავიდა საცხოვრებლად და სამუშაოდ. გოგო სოფელში ბაბუასთან და 18 წლის ძმასთან ერთად ცხოვრობდა.

სოფლის სკოლის დირექტორი ამბობს, რომ 1 თებერვალს, მას შემდეგ რაც სწავლა სკოლის შენობაში განახლდა, ბავშვი გაკვეთილებზე არ მისულა.

„დამრიგებელი დაუკავშირდა მოსწავლეს. გვითხრეს, რომ დადიოდა კბილის ექიმთან. პრობლემები ჰქონდა, სტკიოდა კბილი და ბაბუას დაყავდა ექიმთან.“ - ამბობს საჯარო სკოლის დირექტორი.

დირექტორის თქმით მის მოსწავლეზე შესაძლო სექსუალური ძალადობის შესახებ, რის გამოც გამოძიება სავარაუდოდ 2 თვე მიმდინარეობდა, არაფერი იცოდა და არც პოლიციას დაუკითხავს ვინმე სკოლიდან.

„ჩვენთვის არაფერი ცნობილი არ იყო. არც პოლიციამ შეგვატყობინა. გავიგე, როცა გარდაიცვალა, ავედი ოჯახში და იქ გავიგე, რომ ასეთი მძიმე ისტორია ჰქონია. ოჯახში ჩვეულებრივი, ნორმალური სიტუაცია ჰქონდა. ჩვენამდე ასეთი ინფორმაცია არ მოსულა. თუმცა, პრობლემა რომ ჰქონოდა ბავშვს, როგორც ობოლს და მეურვის ზედამხედველობით მყოფს, სოციალური მუშაკი მიჩენილი ჰყავდა. ის სოც-მუშაკი ამონებდა მის მდგომარეობას. სკოლაშიც რამდენჯერმე იყო ვიზიტით, მისი ყოფილი პრობლემების შესახებაც: სკოლაში თუ დადიოდა, თუ სწავლობდა, მონესრიგებული თუ მოდიოდა“ - ყველა საჯარო სკოლის დირექტორი.

„ნამდვილად ტრაგიკულია, რომ ჩვენ ყველა ბავშვთან ვერ მივდივართ და თითოეულ ბავშვთან ვერ მივალნივთ და შესაბამისი სერვისებით გაძლიერება ვერ მოხერხდა თითოეული ოჯახისა. ბავშვი სახელმწიფო ზრუნვაში არ იმყოფებოდა. იყო მზრუნველ ოჯახურ გარემოში. ნა-

თესავებთან ცხოვრობდა. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა არ ავიღოთ და არ ვუზრუნველყოთ თითოეული ბავშვი, რომელიც ოჯახში ცხოვრობს. მისთვის საჭირო და მხარდაჭერი, გამაძლიერებელი სერვისებით“ - ამბობს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე თამარ ბარკალაია, უწყების მიერ გავრცელებულ ვიდეორეპორაჟში

ჯანდაცვის სამინისტროს მსგავსად, 14 წლის გარდაცვლილი გოგოს საქმეზე გაჩენილ კითხვებს უპასუხოდ ტოვებს შინაგან საქმეთა სამინისტროც. ამ დროისთვის უცნობია:

• ჰყავს თუ არა გამოძიებას სხვა ეჭვმიტანილები?

• ვის შეიძლება სცოდნოდა დანაშაულის არსებობის დეტალები და დაეფარა?

• რატომ, ან როგორ გამოეპარა სოციალურ სამსახურს და სკოლას ბავშვის მძიმე მდგომარეობა?

• რატომ დააკავა პოლიციამ ეჭვმიტანილი მხოლოდ მოზარდის თვითმკვლელობის შემდეგ, როცა, სავარაუდოდ მისი ვინაობა რამდენიმე თვით ადრე იცოდა?

• რატომ გაინელა არასრულწლოვანზე შესაძლო სექსუალური ძალადობის გამოძიება მის თვითმკვლელობამდე?

არასრულწლოვანზე საქმის დაკავშირება 23 წლის კაცის საქმეს კი ბათუმის საქალაქო სასამართლო სვალ განიხილავს. ამ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსპ-ის 140-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც არასრულწლოვანზე შეცნობით საქმის დაკავშირებას ნიშნავს. დანაშაული 7-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთის ითვალისწინებს.

# პანდემია, განათლება და ორჯერ ძვირი საბავშვო პირბადე

**/დასაწყისი პირველი გვერდიდან/**  
გარდა ამისა, მათ ბუნაშვილის თქმით, თუკი მოსწავლეს ისეთი ქრონიკული დაავადება აქვს, რომელსაც ახასიათებს სუნთქვის უკმარისობა და შესაძლოა, ნიღბის მოხმარებამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გააუარესოს, ამის შესახებ საქმის კურსში უნდა იყოს სკოლა და უმჯობესი იქნება, თუკი მოსწავლე, ამ ეტაპზე, ონლაინ-რეჟიმში გააგრძელებს სწავლას:


„მცირე ასაკში განსაკუთრებით რთული იქნება ნიღბის სწორად მოხმარების კონტროლი და შესაბამისად, ნიღბის ტარებაც არაეფექტური იქნება. 12 წლის ასაკის ბავშვს, შეუძლია აკონტროლოს საკუთარი მდგომარეობა და თუკი ნიღბი მას რაიმე სახის დისკომფორტს შეუქმნის, მაგალითად, სუნთქვა გაუჭირდა, რომლის აღბათობაც უკიდურესად დაბალია, შეუძლია რეაგირება მოახდინოს და მასწავლებელს უთხრას მისი პრობლემის შესახებ. შიში იმასთან დაკავშირებით, რომ პირბადის მოხმარების გამო შესაძლოა, ბავშვებს რაიმე სახის დაავადებები განუვითარდეთ, უსაფუძვლოა. თუმცა, თუკი ერთი ნიღბი რამდენიმე დღის განმავლობაში არ შეიცვლება და დაბინძურდება, ცხადია, ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, ბავშვის ჯანმრთელობა რისკის ქვეშ დადგეს.“

სწორედ ამიტომ, მათ ბუნაშვილს მიაჩნია, რომ ნიღბები თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისათვის, რისი საშუალებაც, შესაძლოა, ყველა ოჯახს არ ჰქონდეს. ამიტომ ის თვლის, რომ სკოლების ნიღბებით მომარაგებაზე გარკვეული პასუხისმგებლობა სახელმწიფომაც უნდა აიღოს.

**„პირბადე საშიშია“. „პირი იაზროვნება“ - რატომ არ უნდა ვუთხრათ ეს ფრაზები ბავშვებს**  
ფსიქოლოგი მინა ცირაშვილს თავადაც სკოლის მოსწავლის მშობელია. ამიტომ მისთვის ბავშვებში პირბადის მოხმარების საკითხი საინტერესოა, პირველ რიგში, როგორც მშობლის და შემდეგ უკვე ფსიქოლოგის გადასახედიდან. საგანგებოდ მოიძია ინფორმაცია პირბადის მოხმარების დადებით და უარყოფით

მხარეებზე და ამბობს, რომ ამ ეტაპზე, ვერ მოიკვლია ცნობები იმის თაობაზე, რომ პირბადის ტარება დამაზიანებელი შეიძლება იყოს ბავშვის ფსიქიკისათვის ან გამოიწვიოს ჯანმრთელობის სერიოზული გართულებები:

„დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მივანვიდით ამ საკითხს ბავშვებს. ბავშვის ემოციურ ცხოვრებაზე გავლენას ახდენს მოსაზრება „პირბადე საშიშია“, „დაიხრჩვები“, ვერ იაზროვნებ“, „მაინც ვერ დაგიცავს“ და ა. შ. და სწორედ აი, ამ აზრს შეიძლება დაუკავშირდეს ბავშ-



ვის აღქმა, ამან გამოიწვიოს უპაურობის შეგრძნება, რასაც შესაძლოა პანიკური შეტევაც მოჰყვეს. დიდი სიფრთხილეა საჭირო და მშობლებსაც და პედაგოგებსაც დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია. არ გვირბა ბავშვებში კიდევ ახალი „შიშების“ კულტივირება. თუკი სადმე არსებობს მეცნიერული კვლევა, რომ პირბადის ხანგრძლივი მოხმარება ბავშვებისთვის საშიშია, მაშინ გავაკეთოთ არჩევანი და დავტოვოთ ისინი დისტანციურ სწავლებაზე, რადგან გამოდის, რომ ვერც ვირუსისგან დავიცავთ და ჯანმრთელობის ახალ პრობლემებსაც გავუჩენთ და თუ ეს ასე არაა და გვინდა, რომ ჩვენი შვილები არ გამოვკვეთოთ სახლებში და გახანგრ-

ძლივებული ფიზიკური და სოციალური დისტანციით გამოწვეული სტრესის შედეგები არ გავალმავოთ, მაშინ ცოტა მეტად სერიოზულად უნდა მოვევიდეთ ამ საკითხს და არ გადავავტოვოთ პირბადე ე. წ. საჯილდაო ქვედა. ვიპოვოთ ოქროს შუალედი. დღეს არასწორად გადადგმული ნაბიჯი, ნებისმიერი პოპულისტური ან წინდაუხედავი გადაწყვეტილება, გაცილებით უფრო ძვირი დაგვიჯდება ყველას. რა არის ამ ყველაფრის პერსპექტივა თუ 3-4 კვირაში ისევ ჩაკეტილად ბავშვებს? ეს იქნება ყველაზე დიდი დანაშაული მათ წინაშე.

## WHO და UNICEF-ი ბავშვებისა და პირბადის შესახებ

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციების თანახმად, 5 წლამდე ბავშვებისათვის პირბადის ტარება არ არის მიზანშეწონილი.

6-დან 11 წლამდე ბავშვების შემთხვევაში, მშობელს შეუძლია თავად, მასწავლებლისა და პედაგოგის რეკომენდაციით გადაწყვიტოს, რა დროს ატაროს ნიღბი ბავშვმა. ამ ასაკის ბავშვმა პირბადე შეიძლება ატაროს იმ შემთხვევაში, თუკი:

- ზუსტად იცის ნიღბის მოხმარების წესი;
- თუკი ნიღბის მოხმარების წესს აკონტროლებს ზრდასრული პირი;
- თუკი ბავშვს შეეხება აქვს ადამიანებთან, რომლებიც რისკ-ჯგუფებს მიეკუთვნებიან, მაგალითად, ხანდაზმულებთან ან ქრონიკული დაავადებების მქონე პირებთან;
- რაც შეეხება 12 წელს ზემოთ ბავშვებს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციების თანახმად, მათ პირბადე ზრდასრული ადამიანების მსგავსად უნდა ატარონ;
- იქ, სადაც ვირუსის გავრცელების მაღალი რისკია - საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები;
- იქ, სადაც სოციალური დისტანციის დაცვა შეუძლებელია;

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციების მიხედვით, ბავშვებს შეუძლიათ ატარონ რომელიც ე.წ. სამინიციური ნიღბები, ისე ნაჭრით დაზუსტებული პირბადეები, რომლებიც მინიმუმ სამი შრისგან იქნება შექმნილი. ამ ტიპის ნიღბები უნდა გაირეცხოს ყოველდღიურად, საპნითა და ცხელი წყლით. ამავე რეკომენდაციების თანახმად, მსოფლიო პირბადე ვერ დაიცავს მოზარდს ინფიცირებისგან და აუცილებელია რომორც ხელის ჰიგიენა, ისე სოციალური დისტანციის დაცვა.

მომზადდა ინგა შიოლაშვილი

# სკოლა სახლში...

ძვეყანას 2020 წლის აპრილიდან დისტანციური სწავლების უდიდესმა ტალღამ გადაჰარა, 2 312 სკოლის 590 934 მოსწავლემ და 63 780 პედაგოგმა ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა და უჩვეულო წესებით დაიწყო სწავლება. ოპტიმისტური თუ სუბიექტური მიზანების გამო, ზოგი უკან წაიწია, ზოგიც ერთ ადგილზე გაჩერდა. უკრძალავს მდგომარეობაზე შეცვლა არამხოლოდ საგანმანათლებლო სისტემა, არამედ - ჩვენი ცხოვრების ჩვეული სტილიც.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგია ყველა მოსწავლისათვის საინტერესოა, ვფიქრობ, და როგორც სასკოლო ასაკის ორი ბავშვის მშობელი, მივიჩნევ, რომ ეს მეთოდი არ მოგვცემს იმ შედეგს, როგორცაც მასწავლებელთან

და თანაკლასებთან უშუალო, ცოცხალი ურთიერთობა. ნახევარ მილიონზე მეტი მოსწავლის მილიონზე მეტი მშობელი „გამჭვირვალე გაკვეთილების“ სასწავლო პროცესის მონაწილენი გახდით. დიდი ხნის წინ დანერგული საუბარი დისტანციური სწავლების საჭიროებისა, ვერაგმა ვირუსმა სიტუაციურად უცებ გადააღება და მისი დადებითი თუ უარყოფითი შედეგების თაობაზე აგვალაპარაკა ყველა მხარე. კიდევ ერთხელ ხაზგასმით დაგვანახა, რომ სკოლა მხოლოდ აკადემიური უნარების სქემისთვის არ არის, სკოლა არის ბავშვის სოციალიზაციის ადგილი, სადაც იგი თავისი მიკროსოციუმიდან ანუ ოჯახიდან გადადის მაკროსოციუმში, სადაც აღარ არიან ოჯახის წევრები, სადაც არიან მასწავლებლები

და თანაკლასელები. თანატოლებთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის, მათი ჯანსაღი განვითარებისთვის. თითოეული მშობელი ვეცადეთ, რომ ჩვენი შვილებისთვის სწავლის ეს მოდელი მოსაწონი ყოფილიყო და თანამედროვე, პოზიტიურ სტრატეგიებს ვიყენებდით ამისთვის, ვუქმნიდით

სწავლისთვის წამახალისებელ გარემოს იმისათვის, რათა პროცესი, ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, სწორად ყოფილიყო წარმართული. „გამჭვირვალე გაკვეთილებმა“, დაგვანახა თუ რაზეა საჭირო მეტი ყურადღების გამახვილება, რაზე - ნაკლები, რომელი საგანი უყვართ და როგორ წავახალისოთ ამ მხრივ. ხოლო, მათთვის პრობლემური საგანი უფრო საინტერესო და ადვილად დასაძლევად გავხადეთ. ვეცადეთ, არა სადამსჯელო, არამედ წამახალისებელი და სასიამოვნო გარემო შევქმენა. სკოლამ სახლში არაერთი უჩვეულო და სახალისო სურათის მომსწრე გახდა მთელი საზოგადოება. იმის ყურება, თუ როგორ იმართებოდა საახალწლო ზეიმები კომპიუტერების ეკრანებიდან, საიდან ცდილობდნენ ბავშვები ინტერნეტზე წვდომის მიღებას, რა გზებით ცუდლუტობდნენ, როგორ „ფუჭდებოდა“ ვიდეოთვალის თუ მიკროფონის ასე ხშირად, ერთდროულად ძალიან სევდიანი იყო და სახალისოც.

„ეს ფოტო მთელს გალაქტიკას თუ არა, დანარჩენ მსოფლიოს მაინც ანახეთ“, - ასე გამოეხმაურა სოციალური ქსელი გასულ კვირას, ჩვენი ძვირფასი თანამემამულის, ცნობილი



ალექსანდრა ნიქოლაური



ილია გომავალი

ფოლკლორისტიკის - სოლომონ გოგამვილის ვაჟის - ილიას ფოტოს „ბუნების გაკვეთილი სათივედან“. უდიდესი სიყვარული და მოწონება დაიმსახურა ამ პატარა ქართველის პასუხისმგებლობის ხარისხმა, რომლის მიღმა ინტელექტუალური მშობლების უკიდურესი სიყვარული, ზრუნვა და აღზრდის განსაკუთრებული იგრძნობოდა. ასეთი ამბები, რა თქმა უნდა, უამრავი იყო ჩვენს ირგვლივ ამ პანდემიის ჟამს, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ გვეზრდება უძლიერესი და უნესიერესი თაობები, რომლებიც მიუხედავად ამ სირთულეებისა, იქნებიან ჩვენი სამშობლოს წინსვლისა და მშვიდობის გარანტი.

ელზა ხარაშვილი





# 14 თებერვალი - „ვალენტიანობა“ და სიყვარულის დღე

„სიყვარულის დღე - დღესასწაული, რომელიც საქართველოში აღინიშნება 1994 წლიდან ყოველ 15 აპრილს. ოფიციალურად უქმე დღე არ არის, თუ არ ემთხვევა შაბათს ან კვირას. ქართული სიყვარულის დღის პირველად აღნიშვნა 1994 წელს რუსთაველის თეატრში დაგეგმილი კონცერტით დაიწყო. ამის თაობაზე გაზეთმა „კოქტეილმა“ აფიშით ამცნო თბილისის მოსახლეობას: „ქართველი ახალგაზრდობა ღირსია დღესასწაულის, რამეთუ ყველაზე ლამაზი და ერთგული სიყვარული მათ იციან. დაე, ტრადიციული სიყვარულის დღე - 15 აპრილი გამხდარიყოს, ახალგაზრდობის სულის სილამაზის მშვენიერების ზეიმი საქართველოში. ახალგაზრდული ფესტივალი ცდაა ერის მომავლის გამოღვიძების და ნურასოდეს დაგავინდებათ, თანატოლებო, რომ ქვეყანა, რომელშიც ახლა ჩვენ ვცხოვრობთ, მომავალში ჩვენი სამართავია. ერთმანეთის სიყვარულით გავაძლიეროთ იგი.“ ასეთი განმარტებაა ვიკიპედიაში.

უკვე რამდენიმე წელია, რაც სხვა ქვეყნებთან ერთად 14 თებერვალს საქართველოშიც სიყვარულის დღეს - ვალენტიანობას ვზეივობთ. ვინ იყო ვალენტინი და რატომ იქცა ეს დღე სიყვარულის დღედ? ვალენტინი რომელი მღვდელი იყო, რომელიც 269 წელს, კლავდიუს II-ის მეფობის დროს აწამეს. კლავდიუს II-მ რომის იმპერიაში ახალგაზრდების დაქორწინება აკრძალა, რადგან თვლიდა, რომ მარტოხელა მამაკაცი, რომელსაც ოჯახი და საყვარელი ქალი არ ჰყავდა, უკეთ იბრძოდა და ემსახურებოდა სამშობლოს, ვიდრე დაოჯახებული და წვრილ-შვილიანი კაცი. მღვდელი ვალენტინი კი მის ბრძანებას არ დაემორჩილა და შეყვარებულ წყვილებს მალულად წერდა ჯვარს. მისი ეს საქციელი დიდხანს არ დარჩენილა შეუმჩნეველი. ვალენტინი შეიპყრეს, ციხეში ჩასვეს, სასტიკად აწამეს, ბოლოს კი სიკვდილით დასაჯეს და ნამების შემდეგ თავი მოკვეთეს. არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვით, ციხეში ყოფნისას ვალენტინის ციხის ზედამხედველის ბრმა ქალიშვილი, ჯულია შეუყვარდა და სასიყვარულო ბარათი მისწერა. ბარათი ასე მთავრდებოდა: „შენი ვალენტინი“. სწორედ აქედან წარმოდგა დასავლური ტრადიცია, რომლის მიხედვით 14 თებერვალს შეყვარებულები ერთმანეთს სასიყვარულო ბარათებს უგზავნიან წარწერით „იშპი ჩემი ვალენტინი“ ან - „იშპი ჩემი ვალენტინი?“ და ა.შ.

როგორც ისტორიკოსები ვარაუდობენ, ძველი რომში 14 თებერვალს აღინიშნებოდა ლუპერკალია - ქალღმერთ

იუნონასა და ღმერთ ფავნისადმი (ლუპერკისადმი) მიძღვნილი ეროტიკული დღესასწაული. ამ დღეს ღმერთებს მსხვერპლად სწირავდნენ ცხოველებს, ტყავს აცლიდნენ და მისგან მათრახებს აკეთებდნენ. შემდეგ ახალგაზრდა შიშველი მამაკაცები იღებდნენ ამ მათრახებს და ქალებს ცემით მიერეკებოდნენ ქალაქში. ქალები კი ფიქრობდნენ, რომ ამგვარი ცემის შემდეგ უფრო ნაყოფიერები გახდებოდნენ და შვილებსაც ადვილად გააჩენდნენ. 494 წელს რომის პაპმა გელასიუს პირველმა აკრძალა ლუპერკალიის აღნიშვნა და იგი წმინდა ვალენტინის ხსენების დღით ჩაანაცვლა. მოგვიანებით მღვდელი ვალენტინი შეყვარებულების

გამოეყოფოდა. წმიდა ვალენტინის ხსენების დღეს კათოლიკური ეკლესია 14 თებერვალს აღნიშნავს, აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესია კი - ძველი სტილით 30 ივლისსა და ახალი სტილით 12 აგვისტოს. ვალენტინი მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი პირველი მონაშენი, კათოლიკეები კი მას ვალენტინ იტალიელსაც უწოდებენ.

„ვალენტიანობა“, ევროპულ ქვეყნებში გავრცელებული სახალხო დღესასწაულია. არსებობდა თუ არა ძველად საქართველოში მსგავსი ტრადიცია. თურმე არსებობდა და საკმაოდ მასშტაბური და სახალხო სახეც ჰქონდა. „ვალენტიანობა“ არის ზოგიერთი ევროპული ქვეყნის

მამა დავით გარეჯელის ხსენების დღეს დედებს თავისი დასაოჯახებელი შვილები აპყავდათ მისი სახელობის ტაძარში და სთხოვდნენ, რომ მონყალე თვალით გადმოეხედა მათი შვილებისთვის და დაეოჯახებინა ისინი. ჯვრის მონასტერის ქვემო ფერდობზე არის „ძუძუს წყარო“, რომელიც არის დედებისთვის რძის მოსაყვანი, ასევე ევედრებიან და იღებენ ამ წყალს დაოჯახების მსურველნი.

**როდის აღინიშნებოდა ეს დღესასწაული?**

ეს აღინიშნებოდა სულთმოფენობის მომდევნო ხუთშაბათს, ანუ იყო მოძრავი დღესასწაული. ამ დღეს იმართებოდა ძალიან დიდი სახალხო ზეიმი. მთელი თბილისი იძვრებოდა მამა დავითის ტაძრისკენ. ძველად იქ ყოფილა დიდი მოედანი, სადაც ხალხი იკრიბებოდა. მოჰყავდათ თეთრებში ჩაცმული ბავშვები და დედები, რომლებსაც თავზეც თეთრი საბურავი ჰქონდათ ნაკრული. ბავშვები ფეხშიშველები მიჰყავდათ ტაძარამდე. ეს იყვნენ ბავშვები, რომლებიც მამა დავითის შემწეობით და კურთხევით, მშობლების თხოვნისა და ლოცვის ნიადაგზე გაჩნდნენ. სანამ ბავშვს ტაძარში შეიყვანდნენ მღვდელი მას თმას აჭრიდა. მხოლოდ ამის მერე ხდიდნენ ბავშვებს თეთრს. მათი დედები მადლობის ნიშნად ამ დღეს მამა დავითის ტაძარში ლოცულობდნენ, მადლობას სწირავდნენ მამა დავითს ამ დიდი წყალობისა და საჩუქრისთვის. ამჟამად მართლმადიდებლური ეკლესია ჭეშმარიტ, სულიერი სიყვარულის დღეს საქართველოში აღნიშნავს 16 ივლისს, გერგეტობის დღესასწაულზე, რომელიც უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ინიციატივით დაწესდა 1980 წლიდან. ამ დღეს კათოლიკოს-პატრიარქმა ნირვა აღავლინა გერგეტის სამებაში და 16 ივლისი საყოველთაო სიყვარულის დღედ გამოაცხადა. ყოველი წლის ამ დღეს უამრავი წყვილი მიემართება გერგეტის სამებისკენ. ეს ადგილი ოდითგანვე უწმინდეს ადგილად ითვლება. წყვილები მადლობას სწირავენ უფალს სიყვარულისთვის და ერთმანეთისთვის. ამ დღეს ბევრი წყვილი უფალს სამუდამო ფიცს უდებს და ჯვრისწერის საიდუმლოსაც ეზიარება.

სამოქალაქო, საერო სიყვარულის დღე კი საპარტიზოლოში 1994 წლიდან ყოველ 15 აპრილს აღინიშნება. ასე რომ, გვერდით მიზანი გვაქვს სიყვარულის, სიხარულის, გადნიერების და ჰომოფილური ბანდოზისათვის.

მომზადდა ნათუნა პანაშვილმა



მფარველ წმინდანად იქნა მიჩნეული.

როგორც დღესასწაული, ვალენტიანობა აღინიშნება ევროპაში XIII საუკუნიდან, ამერიკაში 1777 წლიდან ხოლო საქართველოში - 90-იანი წლების დასაწყისიდან.

ქართულ საზოგადოებაში ვალენტიანობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა: ზოგს სიყვარულის დღის აღნიშვნა მოსწონს, ზოგი მას არასერიოზულად აღიქვამს, რადგან, როგორც ამბობენ „ყოველი დღე სიყვარულისაა“, ბევრი კი მიიჩნევს, რომ რადგან ეს არ არის მართლმადიდებლური დღესასწაული, უარს ამბობს მის აღნიშვნაზე.

თუმცა, როგორც თეოლოგიის დოქტორი, მღვდელი ალექსი ქუთაშვილი ამბობს, „1054 წლამდე, ვინც ქრისტიანულმა სამყარომ წმინდანად აღიარა, დღეს მართლმადიდებელ წმინდანად ითვლება. ეს ის პერიოდია, სანამ კათოლიკური ეკლესია მართლმადიდებლურს

ხალხური ტრადიცია, რომელიც არის არაჩვეულებრივი, ლამაზი, პოზიტიური და მოსაწონი დღესასწაული. როგორც ჩანს, ხალხურმა ტრადიციამ, სულ მცირე, ორი წმინდა ვალენტინი გააერთიანა და ერთმანეთთან დააკავშირა. თუმცა თვითონ კათოლიკური ეკლესია არ იცნობს იმ ვალენტინს, რომელსაც ყველასთვის ნაცნობ ლეგენდას უკავშირებენ. კათოლიკური ეკლესიაც აღიარებს, რომ ეს ასე არ არის. მაგრამ ვინაიდან „ვალენტიანობა“ არის ადგილობრივი მრევლის ხალხური ტრადიცია, ეკლესიამ დაუშვა, რომ ხალხს აღნიშვნა ეს მშვენიერი და კარგი დღესასწაული.

საქართველოში ეკლესიის მიერ აღინიშნება ქრისტიანული „სიყვარულის დღე“, ოჯახის სინამდის დღე. ჩვენთან ოჯახური ბედნიერების, შვილიერების, ქალიშვილების გათხოვების შემწე წმინდანი არის წმინდა მამა დავით გარეჯელი. იგი ამავე დროს არის თბილისის მფარველი.

## ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში

საშუალოდ რამდენი წელი გრძელდება ქორწინება საქართველოში? „საქსტატის“ კვლევა საშუალებას გვაძლევს, ამ პროცესს თვალს 1994- დან 2019 წლამდე მივაღწევით.

1994	10.3
1995	10.3
1996	10.0
1997	10.3
1998	10.0
1999	10.0
2000	11.3
2001	11.8
2002	11.3
2003	11.6
2004	12.2

1994-2004 წლებში ქორწინებათა საშუალო ხანგრძლივობა 10-დან 12 წლამდე მერყეობს.

2005	12.0
2006	11.8
2007	10.8
2008	12.0
2009	11.7
2010	11.8
2011	11.7
2012	11.6
2013	11.1
2014	10.7
2015	10.4

2005 წლიდან 2015 წლამდე არსებული მდგომარეობა ასე გამოიყურება:

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში კი ვხედავთ ქორწინების

2016	10.4
2017	10.2
2018	10.3
2019	10.1

ბათა საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი რიცხვის მკვეთრ კლებას. ბოლო წლებში არსებული მდგომარეობა 90- იანი წლების მდგომარეობას უტოლდება.



